

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“გ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

 ზურაბ ბუცბრიკიძე

„15“ „11“ 2013 წელი

ეგზ. № 2

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში № 41/00

2013 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ.....	4
ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი.....	4
ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლები	5
შემოსულობები	5
გადასახდელები.....	6
ბიუჯეტის შესრულება 6 თვის მდგომარეობით.....	8
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	9
ცვლილებების ასახვა.....	9
ბიუჯეტის განწერა.....	10
ვალდებულების აღება და ხარჯის გაწევა ასიგნების ზევით	10
მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი	11
სარეზერვო ფონდი	12
ხარჯების არასწორი კლასიფიცირება.....	12
შეუსაბამოები ბიუჯეტის მუხლებსა და დანართებს შორის.....	13
პროგრამული ბიუჯეტი.....	14
ადმინისტრაციული ხარჯი.....	16
აუდიტის დასკვნა	16
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	Error! Bookmark not defined.
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:	Error! Bookmark not defined.

აუდიტის ძირითადი მიზანი

დასკვნის გაცემა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ლენტეხის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის ფართობია 1 344 კმ². მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 8.6 ათას კაცს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 9 ტერიტორიულ ორგანს, რომლებიც მოიცავს ერთ დაბას და 60 სოფელს. 2013 წლის მდგომარეობით, ფუნქციონირებს 17 ა(ა)იპ. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში სულ დასაქმებულია 492 კაცი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბერის №30 დადგენილებით. პირველი ექვსი თვის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა ერთი ცვლილება: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 57.1 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ სპეცტრანსფერის სახით. აღნიშნული ცვლილებით, რომელიც საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2013 წლის 18 აპრილს, ბიუჯეტში ასახულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეცტრანსფერი და გარდამავალი ნაშთი 94.9 ათასი ლარი, რომელიც 31 დეკემბერს დამტკიცებულ ბიუჯეტში ასახული არ იყო.

ცხრილი 1: ცვლილებები (ათასი ლარი)

	31.12.2012	18.04.2013
შემოსულობები	2 198.2	2 255.3
შემოსავლები	2 198.2	2 255.3
არაფინანსური აქტივების კლება	-	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-
გადასახდელები	2 198.2	2 350.2
ხარჯები	2 134.1	2 294.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	64.1	56.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-
ვალდებულებების კლება	-	-
ნაშთის ცვლილება	0	-94.9

ცვლილებების შედეგად, არაფინანსური აქტივების ზრდა ნაცვლად 64.1 ათასი ლარისა, განისაზღვრა 56 ათასი ლარით, ხოლო გარდამავალი ნაშთით გაიზარდა ხარჯების სხვადასხვა მუხლები.

ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლები

ცვლილების გათვალისწინებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცდა შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლებით:

შემოსულობები

ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 2 255 ათასი ლარით. წლის განმავლობაში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლება დაგეგმილი არ არის და აქედან გამომდინარე, შემოსულობების 100%-ს შეადგენს შემოსავლები. შემოსავლები თავის მხრივ მოიცავს გადასახადებს, კერძოდ, ქონების გადასახადს, რომელიც წლის განმავლობაში დაგეგმილია 70 ათასი ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ გრანტებს - 2 125 ათასი ლარისა და სხვა შემოსავლებს - 60 ათასი ლარის ოდენობით.

ცხრილი 2: ათასი ლარი

შემოსულობები	2 255.3 (2013 წლის გეგმა)	
შემოსავლები	2 255.3	
გადასახადები	70.0	
ქონების გადასახადი	70.0	
გრანტები	2 125.3	
გათანაბრებითი ტრანსფერი	1 968.2	
მიზნობრივი ტრანსფერი	100.0	
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	57.1	
სხვა შემოსავლები	60.0	

როგორც ცხრილიდან ჩანს, შემოსულობების ძირითად ნაწილს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერი - 1 968.2 ათასი ლარი, რომელსაც მუნიციპალიტეტი ფინანსური დახმარების სახით იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რადგან სხვა შემოსავლების სახით მიღებული თანხები არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისათვის საჭირო გადასახდელების დასაფინანსებლად. გათანაბრებითი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის მთლიანი შემოსულობების 87%-ს შეადგენს. მიზნობრივი ტრანსფერით გამოყოფილი 100 ათასი ლარი განკუთვნილია სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

გადასახდელები

მუნიციპალიტეტის გადასახდელები განისაზღვრა 2 350.2 ათასი ლარით, საიდანაც ხარჯები შეადგენს 2 294.2 ათას ლარს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა გათვალისწინებულია 56 ათასი ლარით. ხარჯები მოიცავს შემდეგ მუხლებს:


ცხრილი 3: ათასი ლარი

ხარჯები	2 294.2
შრომის ანაზღაურება	921.3
საქონელი და მომსახურება	417.6
პროცენტი	8.0
სუბსიდიები	782.4
სოციალური უზრუნველყოფა	82.0
სხვა ხარჯები	82.9

როგორც ცხრილშია მოცემული, მთლიანი ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების თანხები - 921.3 ათასი ლარი (მთლიანი ხარჯების 40%). საქონლისა და მომსახურების მუხლით განსაზღვრულია 417.6 ათასი ლარი (ხარჯების 18%), ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების დასაფინანსებლად სუბსიდიების მუხლით გათვალისწინებულია 782.4 ათასი ლარი (მთლიანი ხარჯების 34%).

ფუნქციონალურ ჭრილში ხარჯები წარმოდგენილია შემდეგი თანაფარდობით:

დიაგრამა 1: ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია




ყველაზე დიდი პროცენტული წილი მოდის „საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე“ - მთლიანი ხარჯების 45% (1 054 ათასი ლარი). ასევე

მნიშვნელოვანი თანხებით ფინანსდება „დასვენება, კულტურა და რელიგია“, მთლიანი ხარჯის 24% (568 ათასი ლარი). ყველაზე ნაკლები თანხებით ფინანსდება „თავდაცვა“ – 2% და „ჯანმრთელობის დაცვა“ – 3%, რომლებიც მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებებია.

ბიუჯეტის შესრულება 6 თვის მდგომარეობით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით¹, ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით. თუმცა, აღნიშნულ პერიოდში გამგეობის მიერ ეს პროცედურა არ განხორციელებულა. მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს წარმოუდგინა მათ მიერ ფინანსთა სამინისტროში გადაგზავნილი ინფორმაცია ივნისის თვის მდგომარეობით ბიუჯეტის შესრულების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2013 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, ბიუჯეტის შემოსულობების ფაქტობრივმა შესრულებამ 1 106 ათასი ლარი შეადგინა, ანუ წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული საპროგნოზო მაჩვენებლის 49%. ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 1 188 ათასი ლარით, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 50%-ია. სხვადასხვა მუხლებისა და პროგრამების მიხედვით, ბიუჯეტი ექვსი თვის გათვალისწინებით სრულდება მცირე გადახრებით. მნიშვნელოვანი გადახრები წლიურ საპროგნოზო და ექვსი თვის ფაქტობრივ შესრულებას შორის ფიქსირდება საგადასახადო და სხვა შემოსავლების მუხლში:

¹ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლი



როგორც დიაგრამაზე ჩანს, წლიური ბიუჯეტით დაგეგმილია საგადასახადო შემოსავლების მიღება 70 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ ივნისის თვის მდგომარეობით შეადგინა 10.3 ათასი ლარი - წლიური გეგმის მხოლოდ 15%. სხვა შემოსავლების მუხლით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 60 ათას ლარს, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 50 ათასი ლარი, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და ჯარიმები - 4 ათასი ლარი და ჯარიმები, სანქციები, საურავები - 6 ათასი ლარი. ექვსი თვის მდგომარეობით, აღნიშნული მუხლებით მიღებულმა შემოსავალმა ჯამში 9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 15 %-ია.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ცვლილებების ასახვა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად², ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელმა ორგანომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, ბიუჯეტში უნდა შეიტანოს ცვლილებები და ეს ცვლილებები ერთი თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარუდგინოს წარმომადგენლობით ორგანოს.

² „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის მე-5 პუნქტი

2013 წლის 17 მაისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება №466 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, რომლის თანახმად, ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 311.3 ათასი ლარი. ეს განკარგულება ოფიციალურად გადმოეგზავნა მუნიციპალიტეტს და მიღებული წერილი კანცელარიაში 20 მაისს გატარდა. თუმცა, გამგეობამ გამოყოფილი თანხები არც ბიუჯეტში ასახა და არც 1 თვის ვადაში წარუდგინა საკრებულოს. აქედან გამომდინარე, 2013 წლის პირველი ექვსი თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახული არ არის და დარღვეულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნები.

ბიუჯეტის განწერა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, საფინანსო ორგანო ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას. აღნიშნული დოკუმენტი ლენტეხის მუნიციპალიტეტს არ მოუმზადებია. აქედან გამომდინარე, დარღვეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები.

ვალდებულების აღება და ხარჯის გაწევა ასიგნების ზევით

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მიხედვით ჩანს, რომ ამ დროისათვის დაზუსტებული ბიუჯეტით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხები ასახული არ არის და შესაბამისად, ამ მუხლით დამტკიცებული ასიგნება მუნიციპალიტეტს არ აქვს. მიუხედავად ამისა, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიმწოდებელთან გაფორმდა ხელშეკრულება და ფაქტობრივად აუნაზღაურდა 1.4 ათასი ლარი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის³ მიხედვით, ასიგნების ზევით ფინანსური ვალდებულების აღება და გადახდის განხორციელება დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული ფაქტით დარღვეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები.

მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მუხლი - „მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი“. აღნიშნული მუხლით გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა 2011 წელს 1 ათასი ლარი შეადგინა, 2012 წელს - 0.3 ათასი ლარი, ხოლო 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ასიგნება 2 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-19 მუხლის 2012 წლის 18 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება ჰქონდათ შესაძლებლობის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯზე დახმარება გაეწიათ პარლამენტის მაჟორიტარი წევრისთვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით და, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულნი იყვნენ უზრუნველყოთ მაჟორიტარი დეპუტატი სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

2012 წლის 18 დეკემბერს „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის“ მე-19 მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, მაჟორიტარი პარლამენტის წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება პარლამენტის ბიუჯეტიდან. აქედან გამომდინარე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის თანხებით „მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯის“ ანაზღაურება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

³ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-18 მუხლი.

სარეზერვო ფონდი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის მე-13 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, შექმნილია სარეზერვო ფონდი 20 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მიხედვით: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, თუმცა, ფონდიდან თანხების გამოყოფა ხდება არა საკრებულოს, არამედ მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის მე-13 მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსს.

ხარჯების არასწორი კლასიფიცირება

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტს „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოეყო 57.1 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი კაპიტალური პროექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვას. მუნიციპალიტეტმა მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა 2013 წლის 18 აპრილის ცვლილებით, ბიუჯეტში ასახა ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით“: არაფინანსური აქტივის შეძენა მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს, მათ შორის, პროექტის მომზადების ხარჯებს. აქედან გამომდინარე, მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები უნდა ასახულიყო არა „სხვა ხარჯების“, არამედ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში.

შეუსაბამობები ბიუჯეტის მუხლებსა და დანართებს შორის

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს გამოიკვეთა შეუსაბამობები ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლებსა და დანართებში წარმოდგენილ ინფორმაციებს შორის:

1. 2013 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის პირველ მუხლში წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით დეფიციტმა (უარყოფითმა მთლიანმა სალდომ) შეადგინა 94.9 ათასი ლარი, რომელიც დაიფარა ფინანსური აქტივების (ვალუტა და დეპოზიტები) კლებით შესაბამისი თანხით - 94.9 ათასი ლარი. ბიუჯეტის მე-11 მუხლის თანახმად კი, მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განსაზღვრულია 0.0 ათასი ლარის ოდენობით.
2. ბიუჯეტის დანართში 0107 ორგანიზაციული კოდით გათვალისწინებულია „წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა“, თანხით 17 ათასი ლარი, ხოლო ბიუჯეტის პირველ მუხლში წარმოდგენილ ბალანსში ვალდებულებების კლება გათვალისწინებული არ არის და ბიუჯეტის მე-12 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების ცვლილება განსაზღვრულია 0.0 ათასი ლარის ოდენობით.
3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-14 მუხლში ასახულია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 100.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც უნდა მიიმართოს:
 - ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის - 44.0 ათასი ლარი;
 - ბ) სამხედრო სამსახურის კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის - 52.0 ათასი ლარი;
 - გ) სამამულო ომის ვეტერანების სოციალური დახმარებისა და დაკრძალვის ხარჯები - 4.0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის დანართებში გათვალისწინებულია ჩამოთვლილი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება შესაბამისი თანხებით, თუმცა დაფინანსების წყაროდ მითითებულია საკუთარი სახსრები. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი თვითმმართველი ერთეულის საკუთარ შემოსულობებს არ მიეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების წყაროდ მითითებული უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები.

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-2 თავში აღწერილია ბიუჯეტის პრიორიტეტები. პრიორიტეტების ჩამონათვალი მოცემულია სტანდარტული ფორმით და არ არის მორგებული მუნიციპალიტეტის ადგილობრივ საჭიროებებზე. მაგალითად, პირველ პრიორიტეტად დასახელებულია თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, რაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს არ მიეკუთვნება.
5. პრიორიტეტებისა და პროგრამების თავში მოცემულია „საგანგებო სიტუაციების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდით - 0201), რომელიც გულისხმობს ოპერატიული მოქმედების მიზნით სახანძრო და მაღალგამავლობის ავტომობილის შეძენას, ხოლო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში აღნიშნული ხარჯის გაწევა დაგეგმილი არ არის.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი ვერ ასახავს ზუსტ ინფორმაციას წლის განმავლობაში გასაწევი გადასახდელების შესახებ.

პროგრამული ბიუჯეტი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები 2013 წლიდან გადავიდნენ პროგრამულ ბიუჯეტზე, რომლის შედგენაც უნდა

განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. პროგრამული ბიუჯეტი არის შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროგრამის მიზანი, მოსალოდნელი შედეგი და მისი შეფასების კრიტერიუმები. კრიტერიუმები უნდა იყოს:

შედეგზე ორიენტირებული - უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან დამოკიდებულებას;

ნათელი და გაზომვადი - რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ღონისძიებები ასახულია 2013 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში, რომელიც ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარედგინა საკრებულოს. ამავე დოკუმენტშია აღწერილი პროგრამის მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმები. პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ ბიუჯეტს. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით პირველად შეადგინა, გარკვეული შეუსაბამოები არსებობს პრიორიტეტების დოკუმენტსა და დამტკიცებულ ბიუჯეტს შორის. მაგალითად: პრიორიტეტების დოკუმენტში გათვალისწინებულია „საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის კომუნალური ხარჯების დაფინანსება, რაც დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. ამასთან, ზოგ შემთხვევაში პრიორიტეტების დოკუმენტში მოცემული პროგრამის შედეგების შეფასების ინდიკატორები არ არის გაზომვადი და არ იძლევა მიღწეული შედეგის შეფასების საშუალებას. მაგალითად, „საგანგებო სიტუაციების მართვის“ პროგრამის შედეგის შეფასების ინდიკატორია - მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების 50%-ით გაუმჯობესება. რეალურად, მუნიციპალიტეტს აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგია არ აქვს და, შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორით პროგრამის შედეგების შეფასება ვერ მოხერხდება.

ადმინისტრაციული ხარჯი

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 8.6 ათას კაცს, ხოლო გამგეობაში, საკრებულოსა და გამგეობის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში დასაქმებულია სულ 492 ადამიანი. აქედან გამომდინარე, 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ადმინისტრაციული ხარჯი. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებულია 921.3 ათასი ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის 39%-ია.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების პროცესში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსს, საქართველოს ორგანულ კანონს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებას „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, აგრეთვე სხვა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორ-ასისტენტი:
ზურაბ ზუმბაძე

ხელმოწერა

თარიღი 14.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:
ბარამ ონიანი

ხელმოწერა

თარიღი 14.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:
გიორგი ბუკია

ხელმოწერა

თარიღი 14.11.2013